



ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო
წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულო



განკარგულება:გ-49.492205610

თარიღი:25/02/2022

გ ა ნ კ ა რ გ უ ლ ე ბ ა № 23

შპს „მაგთიკომი“-სათვის პირდაპირი განკარგვის წესით, იჯარის უფლებით, რკინის კონსტრუქციის (ანძა) ანტენის აპარატურის განთავსების მიზნით, წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მერისათვის თანხმობის მიცემის თაობაზე

წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულომ განიხილა მუნიციპალიტეტის მერის 2022 წლის 10 თებერვლის №48-482204147 წერილი, რომელშიც ითხოვს თანხმობას შპს „მაგთიკომი“-სათვის პირდაპირი განკარგვის წესით, იჯარის უფლებით, რკინის კონსტრუქციის (ანძა) ანტენის აპარატურის განთავსების მიზნით, გადაცემის შესახებ.

ზემოთ აღნიშნულიდან გამომდინარე, საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ 61-ე მუხლის მე-2 ნაწილისა და 122-ე მუხლის შესაბამისად:

1. მიეცეს თანხმობა წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მერს შპს „მაგთიკომი“-სათვის პირდაპირი განკარგვის წესით, იჯარის უფლებით, რკინის კონსტრუქციის (ანძა) ანტენის აპარატურის განთავსების მიზნით, გადაცემის შესახებ (დანართი თან ერთვის).
2. კონტროლი განკარგულების შესრულებაზე დაევალოს საკრებულოს ეკონომიკისა და ქონების მართვის საკითხთა კომისიას.
3. განკარგულება ძალაშია გამოქვეყნებისთანავე.
4. განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს კანონით დადგენილი წესით, მისი გაცნობიდან ერთი თვის ვადაში, ქუთაისის საქალაქო სასამართლოში (მისამართი: ქ. ქუთაისი, კუპრაძის ქ. №11).

თეიმურაზი ჭეიშვილი

წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულო-
საკრებულოს თავმჯდომარე

გამოყენებულია კვალიფიციური
ელექტრონული ხელმოწერა/
ელექტრონული შტამპი



წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს
2022 წლის 25 თებერვლის №23 განკარგულების
დანართი №1

N	ქონების ადგილმდებარეობა	დასახელება და ფართობი	საკადასტრო კოდი
1	2	3	4
1	ქ.წყალტუბოში რუსთაველის ქუჩა N27- ში მდებარე	რკინის კონსტრუქცია(ანძა) (კაბელის მიმაგრების ადგილი) და მიმდებარედ 2 კვ.მ მიწის ნაკვეთი	29.08.34.107